,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 დეკემბრის N117/2023 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

თბილისი 2023 წლის 27 დეკემბრის

თსუ რექტორის 2023 წლის 15 ნოემბრის N285/01-01, N286/01-01 და N287/01-01 ბრძანებების - ("სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"), აღსრულების მიზნით, ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2023 წლის12 დეკემბრის N117/2023 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი ოქმი:

<u>სხდომას ესწრებოდნენ</u>:

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე
ნინო შარაშიძე (თსუ პროფესორი) - მოადგილე
სოფიო ფუთურიძე (თსუ ასისტენტ-პროფესორი) - მდივანი
თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)-წევრი
თამარ ლეკაშვილი (თსუ ასისტენტ-პროფესორი)-წევრი

კონკურსი იყო გამოცხადებული თერთმეტ კათედრაზე:

1. სტომატოლოგიის დეპარტამენტის ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიის და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრა

ასისტენტ-პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.

საბუთები შემოიტანა ერთმა კონკურსანტმა.

2. ყბა-სახის ქირურგიის კათედრა

ასისტენტ-პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.
საბუთები შემოიტანა ერთმა კონკურსანტმა.

3. კლინიკური ქირურგიის კათედრა 1

ასისტენტ-პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.
საბუთები შემოიტანა ერთმა კონკურსანტმა.

4. კლინიკური ქირურგიის კათედრა 2

ასისტენტ-პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.
საბუთები არ შემოიტანა კონკურსანტმა.

5. კრიტიკული მედიცინის კათედრა

ასისტენტ-პროფესორი (ბ კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.
საბუთები შემოიტანა ერთმა კონკურსანტმა.

6. პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრა

ასოცირებული პროფესორი (ბ-კატეგორია) ორი საშტატო ერთეული.
საბუთები შემოიტანა ორმა კონკურსანტმა.

7. კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრა

ასოცირებული პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.
საბუთები შემოიტანა ერთმა კონკურსანტმა.

8. ფარმაკოლოგიის კათედრა

ასოცირებული პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.
საბუთები შემოიტანა ერთმა კონკურსანტმა.

9. საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიის კათედრა

ასოცირებული პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.
საბუთები არ შემოიტანა კონკურსანტმა.

10. მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრა

ასოცირებული პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.
საბუთები შემოიტანა ერთმა კონკურსანტმა.

11. დერმატო-ვენეროლოგიის კათედრა

პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.
საბუთები შემოიტანა ერთმა კონკურსანტმა.

საბუთების მიღება როგორც კი დასრულდა, კომისიას გადაეცა კონკურსანტების საბუთები დალუქულ მდგომარეობაში.

კომისიამ განიხილა კონკურსანტების მიერ შემოტანილი საბუთები (ოქმი N1) კონკურსანტების საბუთები განხილულ იქნა ცალ-ცალკე; შეფასდა კონკურსის

მოთხოვნის პირობების და შესაბამისი ფორმების შევსებით. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საბუთები იყო სრულ შესაბამისობაში, ჩაითვალა დადებითად და კონკურსანტები დაიშვა მე-2 ეტაპზე.

კომისიის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ კონკურსანტებთან გასაუბრება შედგეს 27 მაისს 15:00 საათიდან - 16:50 საათამდე - წარმოდგენილი კონკურსანტების გრაფიკის მიხედვით. აღნიშნული ინფორმაცია გაეგზავნა კონკურსანტებს ელექტრონული ფოსტის და სატელეფონო შეტყობინებით. აღნიშნულ საკითხზე ჩატარდა ღია კენჭისყრა და კომისიის ყველა წევრი დაეთანხმა აღნიშნულ წინადადებას.

27 დეკემბერს 15 საათზე ჩატარდა კომისიის სხდომა (ოქმი N2). აღნიშნულ სხდომას ესწრებოდა ყველა წევრი.

<u>15:00 საათიდან -15:50 საათამდე გასაუბრება გაიარა:</u>

მედიცინის დოქტორებმა: ელენე გოლოვაჩოვამ, ავთანდილ მაჭავარიანმა, ნინო ჩიქობავამ, დავით დავითაშვილმა, მიხეილ ჯანგავაძემ, ნინო ხვიჩიამ, ია კირვალიძემ, მარიამ ჭიპაშვილმა, ლალი ფხალაძემ, თინა ქიტუაშვილმა. გასაუბრება შეეხო მათ სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობას. კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ გია ლობჟანიძის ინიციატივით, კანდიდატებმა დეტალურად მიმოიხილეს საკუთარი პედაგოგიური გამოცდილება და ის კურსები, რომლის წაკითხვასაც სთავაზობენ მედიცინის ფაკულტეტს.

<u>აზრი გამოთქვა კომისიის ყველა წევრმა:</u>

მათ აღნიშნეს, რომ კარგად იცნობენ კანდიდატების სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას და მიაჩნიათ ღირსეულ კანდიდატებად თსუ მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

იმავე დღეს 16 სთ-ზე გაგრძელდა კომისიის სხდომა (ოქმი N3) კომისიის თავმჯდომარემ შეაჯამა კონკურსის პირველი და მეორე ეტაპი. დადებითად შეაფასა კომისიის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები კონკურსანტების მიმართ.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 50 ბიულეტენი. გაფუჭებული ბიულეტენები არ აღმოჩნდა. კომისიის ხუთივე წევრმა ხმა მისცა - თსუ მედიცინის ფაკულტეტზე სტომატოლოგიის დეპარტამენტის ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიის და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ ელენე გოლოვაჩოვას არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ყბა-სახის ქირურგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ ავთანდილ მაჭავარიანის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ქირურგიის კათედრა 1-ის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ ნინო ჩიქობავას არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კრიტიკული მედიცინის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ დავით დავითაშვილის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ მიხეილ ჯანგავაძის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ ნინო ხვიჩიას არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ ია კირვალიძის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ფარმაკოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ მარიამ ჭიპაშვილის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ ლალი ფხალაძის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე დერმატო-ვენეროლოგიის კათედრის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ თინა ქიტუაშვილის არჩევას;

კენჭისყრის შედეგები დამტკიცდა ღია კენჭისყრით.

<u>ერთხმად დაადგინეს:</u>

მედიცინის დოქტორი ელენე გოლოვაჩოვა გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დეპარტამენტის ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიის და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი ავთანდილ მაჭავარიანი გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის ყბა-სახის ქირურგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი ნინო ჩიქობავა გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური ქირურგიის კათედრა 1-ის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი დავით დავითაშვილი გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის კრიტიკული მედიცინის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი მიხეილ ჯანგავაძე გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი ნინო ხვიჩია გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი ია კირვალიძე გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი მარიამ ჭიპაშვილი გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის ფარმაკოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი ლალი ფხალაძე გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი თინა ქიტუაშვილი გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის დერმატო-ვენეროლოგიის კათედრის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

კონკუსში მონაწილე კანდიდატები მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით მუშაობდნენ სტუდენტებთან: უწევდნენ კონსულტაციებს და ხელმძღვანელობდნენ სამეცნიერო შრომების მომზადებაში; ასევე, მაქსიმალურად უწყობდნენ ხელს კლინიკური უნარების ათვისებაში.

კომისიის აზრით:

მედიცინის დოქტორი ელენე გოლოვაჩოვა იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე სტომატოლოგიის დეპარტამენტის ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიის და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრის ასისტენტ-პროფესორის (კატეგორია „ბ“) აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას, ვინაიდან იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. იგი წლების განმავლობაში იყო ამავე კათედრაზე

მოწვეული პედაგოგი და წარმატებით ახორციელებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. სტუდენტებში სარგებლობს კარგი რეპუტაციით.

მედიცინის დოქტორი ავთანდილ მაჭავარიანი იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ყბა-სახის ქირურგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის (კატეგორია „ბ“) აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას, რადგან იგი წლების განმავლობაში მუშაობდა როგორც მოწვეული პედაგოგი ამავე კათედრაზე, არის გამოცდილი და წარმატებული პრაქტიკოსი ექიმი, მისის დიდი პრაქტიკული გამოცდილება ეხმარება სტუდენტებს პრაქტიკული უნარების ათვისებაში. მეცადინეობის დროს მისი სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული პაციენტების კლინიკურ მართვაში.

მედიცინის დოქტორი ნინო ჩიქობავა იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ქირურგიის კათედრა 1-ის ასისტენტ-პროფესორის (კატეგორია „ბ“) აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას, რადგან ის იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები. აქვს სტუდენტებთან მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ქ-ნ ნინო ჩიქობავასთან ერთად იმორიგეონ კლინიკაში და მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება.

მედიცინის დოქტორი დავით დავითაშვილი იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კრიტიკული მედიცინის კათედრის ასისტენტ-პროფესორის (კატეგორია „ბ“) აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას, რადგან არის გამოცდილი პრაქტიკოსი ექიმი. არჩევამდე მას ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდილება როგორც მოწვეულ პედაგოგს. პოპულარობით სარგებლობს სტუდენტთა შორის.

მედიცინის დოქტორი მიხეილ ჯანგავაძე იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ბ“) აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას, რადგან ის არის გამოცდილი პედაგოგი, პრაქტიკოსი ექიმი და საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი წამყვანი პათოლოგო ანატომი. წლების განმავლობაში ასწავლის სტუდენტებს და ხელმძღვანელობს მათ სამეცნიერო მუშაობას. მას მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ სამეცნიერო კონფერენციაში და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები მაღალრეიტინგულ ჟურნალებში.

მედიცინის დოქტორი ნინო ხვიჩია იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ბ“) აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას, რადგან ის არის გამოცდილი ექიმი - პათოლოგო ანატომი. წლების განმავლობაში იყო ამავე კათედრაზე ლაბორანტი და მოწვეული პედაგოგი. მისის ხელმძღვანელობით არაერთ სტუდენტს დაწერილი აქვს სამეცნიერო ნაშრომი და მოხსენება გაკეთებული აქვს სამეცნიერო კონფერენციებზე.

მედიცინის დოქტორი ია კირვალიძე იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ბ“) აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას, ვინაიდან იგი არის გამოცდილი პედაგოგი, რამდენჯერმე იყო არჩეული ამავე კათედრაზე როგორც ასისტენტ-პროფესორი. აქედან გამომდინარე, აქვს მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება. წარმატებულად ხელმძღვანელობდა სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას. აქტიურად იღებს მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში.

მედიცინის დოქტორი მარიამ ჭიპაშვილი იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ფარმაკოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ბ“) აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას, რადგან ის არის გამოცდილი ექიმი და კლინიკური ფარმაკოლოგიის მცოდნე პედაგოგი. მისი უშუალო მონაწილეობით ითარგმნა და გამოიცა ფარმაკოლოგიის სახელმძღვანელო. ამჟამად მისი თანაავტორობით უკვე დასრულდა კლინიკური ფარმაკოლოგიის სახელმძღვანელოს თარგმნა, რედაქტირება და მიმდინარეობს სახელმძღვანელოს დაკაბადონება. წარმატებით მუშაობს როგორც ქართულ ენოვან, ისე ინგლისურ ენოვან სტუდენტებთან.

მედიცინის დოქტორი ლალი ფხალაძე იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ბ“) აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას, რადგან ის გახლავთ ძალიან გამოცდილი პრაქტიკოსი ექიმი და პროფ. ჟორდანიას და პროფ. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური დირექტორი. წლების განმავლობაში ამავე კათედრაზე მუშაობს როგორც მოწვეული პედაგოგი და მისი უშუალო ჩართულობით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება მისსავე დაქვემდებარებულ კლინიკაში.

მედიცინის დოქტორი თინა ქიტუაშვილი იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე დერმარო-ვენეროლოგიის კათედრის პროფესორის (კატეგორია „ბ“) აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას, რადგან იგი გახლავთ მედიცინის აკადემიური დოქტორი,

ძალიან გამოცდილი და საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი პრაქტიკოსი ექიმი. 2006 წლიდან გახლავთ ამავე კათედრაზე ასოცირებული პროფესორი და წამყვანი პედაგოგი. იგი აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში, მოპოვებული აქვს არაერთი გრანტი, გამოცემული აქვს სახელმძღვანელოები. ამჟამად არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) აქტიური წევრი. მისი ხელმძღვანელობით ახალგაზრდა ექიმებს დაცული აქვთ სადოქტორო დისერტაციები, ხოლო სტუდენტებს მოხსენებული და დაბეჭდილი არაერთი სამეცნიერო ნაშრომი. იგი ხელმძღვანელობს რეზიდენტურის პროგრამას დერმატო-ვენეროლოგიაში.

კომისიის წევრების ხელმოწერა:

_____

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე

_____

ნინო შარაშიძე (თსუ პროფესორი) - მოადგილე

_____

სოფიო ფუთურიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი

_____

თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

_____

თამარ ლეკაშვილი (თსუ ასისტენტ- პროფესორი)